ონკოლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობა და პაციენტთა ინფორმირებულობა: გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში

მაგისტრანტი:

გვანცა სხირტლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტი თბილისი, 2026

განაცხადი

,,როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით“

[illegible] [illegible]

2026 [illegible]

აბსტრაქტი 9
1. შესავალი 12
1.1 პრობლემის აღწერა და კონტექსტი 12
1.2 პრობლემის გამომწვევი ფაქტორები 13
1.3 პრობლემით გამოწვეული შედეგები 13
1.4 პრობლემის აქტუალურობა 14
1.5 კვლევის მიზანი და ამოცანები 14
1.6. კვლევის კითხვები და ჰიპოთეზები 14
1.7 კვლევის მეთოდოლოგია 15
1.8 კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა 16
2. ლიტერატურის მიმოხილვა 16
2.1. ონკოლოგიური დაავადებების გლობალური ტვირთი 18
2.2. ონკოლოგიური დაავადებების ეროვნული ტვირთი 20
2.2. საერთაშორისო გამოცდილება: აქტიური ინფორმირების მოდელები 27
2.3. საქართველო: ინფორმირების მოდელები 29
2.4. ადრეული გამოვლენა და სკრინინგი 30
2.5.საქართველოს ონკოლოგიური პროგრამები და დაფინანსების მექანიზმები 33
2.6. ძირითადი ბარიერები: ინფორმაცია, დიაგნოსტიკა, თანაგადახდა და რეგიონული ხელმისაწვდომობა 38
2.7. კვლევის ხარვეზი 40
3.კვლევის მეთოდის აღწერა 42
3.1. კვლევის მონაწილეების შერჩევა 43
3.2. მონაცემთა ანალიზის მეთოდები 44
3.3. კვლევის შეზღუდვები 45
4. რაოდენობრივი კვლევის ანალიზი 47
5.შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია 70
6. რეკომენდაციები 76

ბიბლიოგრაფია 79

დიაგრამების, ცხრილების და გრაფიკების ჩამონათვალი

დიაგრამა 1 18
დიაგრამა 2 23
დიაგრამა 3 24
დიაგრამა 4 25
დიაგრამა 5 25
დიაგრამა 6 26

ცხრილი 1 21
ცხრილი 2 31
ცხრილი 3 36
ცხრილი 4 60
ცხრილი 5 65

გრაფიკი 1 48
გრაფიკი 2 49
გრაფიკი 3 50
გრაფიკი 4 50
გრაფიკი 5 51
გრაფიკი 6 52
გრაფიკი 7 53
გრაფიკი 8 54
გრაფიკი 9 55
გრაფიკი 10 56
გრაფიკი 11 57

გრაფიკი 12 58
გრაფიკი 13 60
გრაფიკი 14 61
გრაფიკი 15 62
გრაფიკი 16 63
გრაფიკი 17 64
გრაფიკი 18. 65

აბრევიატურების ჩამონათვალი

აბრევიატურა	განმარტება
WHO	World Health Organization
IARC	International Agency for Research on Cancer
NCDC	National Center for Disease Control
OECD	Organisation for Economic Co-operation and Development
DRG	Diagnosis Related Groups
UHC	Universal Health Coverage
HPV	Human Papillomavirus
PET-CT	Positron Emission Tomography–Computed Tomography

Abstract

Cancer diseases represent one of the most significant public health challenges of the 21st century, as their impact extends beyond clinical medicine and generates substantial social, economic, and demographic consequences. The increasing incidence of cancer places a considerable burden on healthcare systems, as well as on patients and their families. In Georgia, despite recent healthcare reforms, the implementation of state-funded screening programs, and the development of financing mechanisms for oncology services, challenges remain regarding early detection, public awareness, and the financial burden associated with treatment.

The aim of this study was to assess the relationship between the accessibility of oncology services, patient awareness, stage of diagnosis, and financial burden in Georgia. The study also sought to identify factors influencing participation in screening programs, timely disease detection, and out-of-pocket expenditures incurred by patients.

The research was conducted using a quantitative cross-sectional design. An anonymous electronic questionnaire was employed as the data collection instrument, covering demographic characteristics, socioeconomic status, awareness, diagnostic pathways, financial expenditures, and perceptions of state programs. A total of 250 respondents participated in the study, selected through convenience sampling. Data were analyzed using descriptive statistics and correlation analysis.

The findings revealed that a significant proportion of respondents lacked adequate information about state screening programs, which negatively affected participation in screening and the likelihood of early-stage diagnosis. Lower levels of awareness were associated with cancer diagnosis at more advanced stages. Furthermore, the study confirmed that patients diagnosed at an early stage experienced a significantly lower financial burden compared to those diagnosed at later stages. Correlation analysis demonstrated that as the stage of disease progressed, patients'

out-of-pocket expenditures increased, particularly for high-technology diagnostic procedures such as PET-CT scans, genetic testing, and other specialized services.

The study also found that a substantial share of out-of-pocket expenditures was related to services not fully covered under state-funded programs. According to respondents, the existing annual funding limit of GEL 25,000 often fails to adequately cover patients' actual needs. Participants identified the high cost of diagnostic procedures, co-payments, limited availability of services in regional areas, and insufficient information about screening programs as major barriers. Analysis of open-ended responses indicated that respondents placed particular importance on expanding state funding, promoting screening programs, financing high-technology diagnostic services, and developing more patient-centered healthcare services.

The results confirmed that patient awareness, stage of diagnosis, and financial burden are closely interconnected factors. Both research hypotheses were supported: low awareness of state screening programs is associated with later-stage cancer diagnosis, and patients diagnosed at an early stage incur significantly lower out-of-pocket expenditures than those diagnosed at later stages. Consequently, the study suggests that increasing public awareness, actively promoting screening programs, reducing financial barriers, and expanding state funding are essential prerequisites for improving access to oncology services, facilitating early diagnosis, and reducing the financial burden on cancer patients in Georgia.

Keywords: cancer diseases, oncology services, screening, awareness, early diagnosis, out-of-pocket expenditures, financial burden, state funding, Georgia.

აბსტრაქტი

ონკოლოგიური დაავადებები XXI საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გამოწვევას წარმოადგენს, რადგან მათი გავლენა სცდება კლინიკური მედიცინის ფარგლებს და მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ შედეგებს წარმოშობს. კიბოს შემთხვევების ზრდა მნიშვნელოვან დატვირთვას უქმნის როგორც ჯანდაცვის სისტემას, ასევე პაციენტებსა და მათ ოჯახებს. საქართველოში, მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული ჯანდაცვის რეფორმებისა, სახელმწიფო სკრინინგ პროგრამებისა და ონკოლოგიური სერვისების დაფინანსების მექანიზმების განვითარების, კვლავ გამოწვევად რჩება დაავადების ადრეული გამოვლენა, მოსახლეობის ინფორმირებულობა და მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთი.

აღნიშნული კვლევის მიზანი არის საქართველოში ონკოლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობის, პაციენტთა ინფორმირებულობის, დიაგნოსტირების სტადიისა და ფინანსური ტვირთის ურთიერთკავშირის შეფასება. კვლევა ასევე მიზნად ისახავდა იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომლებიც გავლენას ახდენს მოსახლეობის სკრინინგ პროგრამებში ჩართულობაზე, დაავადების დროულ გამოვლენასა და პაციენტების მიერ საკუთარი სახსრებით გაწეულ დანახარჯებზე.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი, კროს-სექციური დიზაინის გამოყენებით. მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტად გამოყენებულია ანონიმური ელექტრონული კითხვარი, რომელიც მოიცავდა დემოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკურ, ინფორმირებულობის, დიაგნოსტირების, ფინანსური დანახარჯებისა და სახელმწიფო პროგრამების შეფასების ბლოკებს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 250 რესპონდენტმა, რომელთა შერჩევა განხორციელდა მოხერხებული შერჩევის მეთოდის (Convenience Sampling) გამოყენებით. მიღებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა აღწერილობითი სტატისტიკისა და კორელაციური ანალიზის მეთოდების საფუძველზე.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვან ნაწილს არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია სახელმწიფო სკრინინგ პროგრამების შესახებ, რაც უარყოფითად აისახებოდა სკრინინგში მონაწილეობისა და დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენის მაჩვენებლებზე. გამოვლინდა, რომ ინფორმირებულობის დაბალი დონე ასოცირდება ონკოლოგიური დაავადებების უფრო გვიან სტადიაზე დიაგნოსტირებასთან. ამასთან, კვლევამ დაადასტურა, რომ ადრეულ სტადიაზე მყოფი პაციენტების ფინანსური ტვირთი მნიშვნელოვნად ნაკლებია გვიან სტადიაზე დიაგნოსტირებულ პაციენტებთან შედარებით. კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ დაავადების სტადიის ზრდასთან ერთად იზრდება პაციენტის მიერ საკუთარი სახსრებით გაწეული დანახარჯებიც, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე, როგორიცაა PET-CT, გენეტიკური ტესტირება და სხვა სპეციალიზებული მომსახურებები.

კვლევის ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ Out-of-Pocket დანახარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის იმ მომსახურებებზე, რომლებიც სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სრულად არ ფინანსდება. რესპონდენტთა შეფასებით, არსებული 25 000-ლარიანი წლიური ლიმიტი ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს პაციენტთა რეალური საჭიროებების სრულ დაფარვას. კვლევის მონაწილეები მთავარ პრობლემებად ასახელებდნენ დიაგნოსტიკური კვლევების მაღალ ღირებულებას, თანაგადახდებს, რეგიონებში სერვისების შეზღუდულ ხელმისაწვდომობასა და სკრინინგ პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას. ღია კითხვების ანალიზმა აჩვენა, რომ რესპონდენტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელმწიფო დაფინანსების გაფართოებას, სკრინინგ პროგრამების პოპულარიზაციას, მაღალტექნოლოგიური კვლევების დაფინანსებასა და პაციენტზე ორიენტირებული სერვისების განვითარებას.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ პაციენტთა ინფორმირებულობა, დაავადების დიაგნოსტირების სტადია და ფინანსური ტვირთი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ფაქტორებია. კვლევამ დაადასტურა ორივე ჰიპოთეზა: სახელმწიფო სკრინინგ პროგრამების შესახებ დაბალი ინფორმირებულობა დაკავშირებულია ონკოლოგიური დაავადებების გვიან სტადიაზე გამოვლენასთან, ხოლო ადრეულ

სტადიაზე დიაგნოსტირებული პაციენტების Out-of-Pocket დანახარჯები მნიშვნელოვნად დაბალია გვიან სტადიაზე დიაგნოსტირებულ პაციენტებთან შედარებით. შესაბამისად, კვლევა მიუთითებს, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა, სკრინინგ პროგრამების აქტიური პოპულარიზაცია, ფინანსური ბარიერების შემცირება და სახელმწიფო დაფინანსების გაფართოება წარმოადგენს ონკოლოგიური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, ადრეული დიაგნოსტიკის ხელშეწყობისა და პაციენტთა ფინანსური ტვირთის შემცირების მნიშვნელოვან წინაპირობას საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ონკოლოგიური დაავადებები, ონკოლოგიური სერვისები, სკრინინგი, ინფორმირებულობა, ადრეული დიაგნოსტიკა, Out-of-Pocket დანახარჯები, ფინანსური ტვირთი, სახელმწიფო დაფინანსება, საქართველო.